F 133/1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 16 ივნისი № 19 თბილისი

F 133

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

109. ამხ. ვ. დ. საყვარელიძის საქ. სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორად დამტკიცების შესახებ საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ხაზით.

110. ამხ. ლ. რ. ჩიხლაძის საქ. სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორად დამტკიცების შესახებ საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და პროკურატურის ხაზით.

111. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ი. ნადარაიას დანიშვნის შესახებ.

112. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

113. საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში ამხ. ვ. ტ. ცაგურიას შეყვანის შესახებ.

114. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან ამხ. მ. ნ. ანანიევის განთავისუფლების შესახებ.

115. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. კ. ა. ბერიშვილის განთავისუფლების შესახებ.

116. თუთის ხის ნარგავების მოჭრის აკრძალვის შესახებ.

117. საჩხერის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

118. 1941 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ.

119. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მთავარ ინჟინრად ამხ. ა. ა. გაბუნიას დანიშვნის შესახებ.

120. საქართველოს სსრ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და რაიონულ ცენტრებში საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის წყალსადენებით, კანალიზაციითა და აბანოებით სარგებლობისათვის ახალი ტარიფების შემოღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

109. ამხ. ვ. საყვარელიძის საქ. სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორად დამტკიცების შესახებ საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქ. სსრ სახ. კომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ხაზით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ამხ. ვასილ დიმიტრის-ძე საყვარელიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ხაზით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 5 მაისი. № 795.
თბილისი.

---

110. ამხ. ლ. რ. ჩიხლაძის საქ. სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორად დამტკიცების შესახებ საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და პროკურატურის ხაზით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ამხ. ლაოდიკ რომანოზის-ძე ჩიხლაძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ იუსტიციის ხახალხო კომისარიატისა და პროკურატურის ხაზით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 5 მაისი. № 796.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

111. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ი. ნ. ნადარაიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. იასონ ნიკოლოზის-ძე ნადარაია საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 8 მაისი. № 836.
თბილისი.

---

112. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: სახალხო კომისარი ამხ. ნ. ი. ჯაში (თავმჯდომარე), ამხ. რ. ა. კვირკველია, კ. ი. მურჯიკნელი, ლ. რ. ჩიხლაძე და ვ. დ. საყვარელიძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 8 მაისი. № 837.
თბილისი.

---

113. საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში ამხ. ვ. ტ. ცაგურიას შეყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეყვანილ იქნას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. ტ. ცაგურია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე**

1941 წ. 9 მაისი. № 844.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

114. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. მ. ნ. ანანიევის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. მ. ნ. ანანიევი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილის და მთავარი ინჟინერის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ, 12 მაისი № 867.
თბილისი.

---

115. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. კ. ა. ბერიშვილის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. კონსტანტინე ალექსის-ძე ბერიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მაისი № 872.
თბილისი.

---

116. თუთის ხის ნარგავების მოჭრის აკრძალვის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1941 წლის 13 მარტს „მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ მიღებული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 9, მუხ. 149) მე-13 პუნქტის შესაბამისად, და იმ მიზნით, რომ შესწყდეს მოჭრა და ამოძირკვა თუთის ხის ნარგავებისა, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე თუთის ხის ყველა სახის ნარგავის მოჭრა და ამოძირკვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციათა ყველა სხვა მეურნეობაში, აგრეთვე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებსა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიწებზე ყოველ ცალკე შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო კომისრთა საბჭოს ნებართვის გარეშე.

2. დაწესდეს, რომ:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თუთის ხის ნარგავების მოჭრისა და ამოძირკვის ნებართვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო გასცემს მხოლოდ თუთის ხეების დაავადების, გახმობის ტყეების მთლიანი ამოძირკვის დროს თუთის ხეების დაზიანების და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც სახელმწიფოებრივი აუცილებლობით იქნება გამოწვეული.

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით მოჭრილი და ამოძირკული თითოეული ხის ნაცვლად იმავე წელს უნდა დაირგას სულ მცირე ათი ახალგაზრდა მაღალშტამბიანი თუთის ხე.

3. თუთის ხეების გადაბელვა და ტოტების გასხეპა მხოლოდ აბრეშუმის ჭიის გამოკვების პერიოდში დაიშვება.

შენიშვნა. გადაბერებული ხეების გაახალგაზრდავება დაიშვება აგრეთვე ადრიან გახაფხულზე და გვიან შემოდგომაზე რაიონული მეთუთე აგრონომის ნებართვით.

4. თუთის ხის ნარგავების მფლობელებს ეკისრებათ როგორც ნარგავების სათანადო მოვლა (ნიადაგის შემობარვა შემოდგომაზე და ადრიან გაზაფხულზე), ისე თუთის ხეების სწორად გადაბელვა და მათი ტოტების გასხეპა.

5. დაწესდეს, რომ ის პირები, რომლებიც სათანადო ნებართვის უქონლად მოსჭრიან და ამოსძირკვავენ თუთის ხეებს, აგრეთვე თუთის ხის წანახედსა და გახმობაში (სარწყავ რაიონებში) დამნაშავე პირები მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78 და 136² მუხლების თანახმად.

6. ამ დადგენილების მე-4 პუნქტის დარღვევისათვის დამნაშავენი დაჯარიმებული იქნებიან 1 მანეთიდან 5 მანეთამდე თვითეული ხისათვის. ჯარიმას ადმინისტრატიული წესით დაადებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კუთვნილებისამებრ.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1931 წ. 27 მაისის დადგენილება „თუთის ნარგავთა განადგურების წინააღმდეგ ბრძოლასა და ამ ნარგავთა მოვლა-გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 12, მუხ. 135);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წ. 1 ივნისის დადგენილება „ბათუმის ბუნებრივ საღებავთა ქარხნის სანედლეულო ბაზისით უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 16, მუხ. 211).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 22 მაისი. № 942.
თბილისი.

---

117. საჩხერის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა) ლიკვიდირებულ იქნას 1941 წლის 1 ივნისიდან საჩხერის სატყეო სამრეწველო მეურნეობა და გადაეცეს ჯალაბეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული ხე-ტყის დამამზადებელი უბნები რომლებიც ჯალაბეთის სატყეო კომბინატს აკრავენ.

ბ) გამოყოფილ იქნას ჯალაბეთის სატყეო კომბინატიდან დამოუკიდებელ ბალანსზე ჯალაბეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ჯალაბეთის სატყეო სამრეწველო მეურნეობა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 22 მაისი № 952.
თბილისი.

---

118. 1941 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) 1941 წ. ივლისში შეუდგენ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას, რათა სოფლის მოსახლეობას გააცნონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი, მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის მიერ 1941 წ. 1 მარტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილი ცვლილებებით, აგრეთვე შემოსავლის დასაბეგრი წყაროების აღრიცხვის წესი;

ბ) 1941 წ. 15 ივლისამდე ჩაატარონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთა, საგადასახადო აგენტებისა და საფინანსო აქტივის საინსტრუქციო თათბირები, რომლებზედაც გულდასმით გააცნონ მაო კანონი და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1941 წლის 4 მაისის № 379/54 ინსტრუქცია 1941 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ;

გ) შეამოწმოს ყველა სასოფლო საბჭოში საკომლო წიგნების შევსების სისრულე და სისწორე და 1 ივლისისათვის უზრუნველჰყონ ყველა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა;

დ) 15 ივლისამდე გულმოდგინედ შეამოწმონ სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სიები მოხუცი კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისა, რომლებიც კანონის მე-23 მუხლის თანახმად, განთავისუფლებულ უნდა იქნან გადასახადისაგან, და დაამტკიცონ ეს სიები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების სხდომებზე;

ე) უზრუნველჰყონ ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და საწარმოსაგან დამხმარე მასალების მიღება მეურნეობათა არასამიწათმოქმედო და საბაზრო შემოსავლის შესახებ ისე, რომ ეს მასალები შეიცავდენ პერიოდს 1940 წლის 1 ივნისიდან 1941 წლის 30 ივნისამდე;

ვ) 1941 წ. 1 ივლისიდან ყველგან შეუდგენ და არაუგვიანეს 1 აგვისტოსა დაამთავრონ გადასახადის გადამხდელთა და მათი შემოსავლის წყაროების აღრიცხვა. აღრიცხვის ჩატარებასთან ერთად მოაწყონ სააღრიცხვო მასალების შემოწმება და დაამთავრონ იგი 1941 წ. 5 აგვისტომდე;

ზ) 1941 წ. 10 აგვისტომდე დაამთავრონ გადასახადის გამოანგარიშება და საგადასახადო უწყებების ჩაბარება;

თ) არაუგვიანეს 1941 წ. 1 სექტემბრისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინონ სიები და დასაბუთებელი მასალები სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობებისა, რომლებსაც კანონის მე-26 მუხლის საფუძველზე შეღავათები უნდა მიენიჭოს, აგრეთვე 1941 წ. 15 ივლისისათვის წარმოუდგინონ სიები რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებისა, არაუმეტეს 30 კაცის რაოდენობით, რომლებიც განთავისუფლებულ უნდა იქნან გადასახადისაგან კანონის მე-27 მუხლის თანახმად;

ი) აღრიცხვის სწორად ჩატარების, აგრეთვე გადასახადის გამოანგარიშების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველდღეკადურად მოისმინონ რაიფინგანების გამგეთა მოხსენებანი 1941 წ. 1 ივლისამდე — მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო 1 ივლისიდან — გადასახადის გადამხდელთა და მათი შემოსავლის წყაროების აღრიცხვის, გადასახადის გამოანგარიშების, საგადასახდელო უწყებების ჩაბარებისა და სახსრების აკრეფის მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) 1941 წ. 1 ივნისამდე დაუგზავნოს რაიონებს საჭირო მასალები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის ჩასატარებლად;

ბ) 25-დან 30 მაისამდე ჩაატარონ უფროს საგადასახადო ინსპექტორთა ინსტრუქტაჟი 1941 წელში სასოფლო სამეურნეო გადასახადის გატარების საკითხზე;

გ) რაიონების დასახმარებლად მიავლინონ ცენტრალური აპარატის 12 მუშაკი;

3. დაწესდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის პირველ ვადად 1941 წლის 1 სექტემბერი.

4. დაწესდეს 1941 წლისათვის შემოსავლიანობის ნორმები სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მიხედვით თანახმად დანართისა № 1.

5. დაწესდეს შემდეგი მსხმოიარე ასაკი მრავალწლოვანი ნარგავებისათვის:

ციტრუსოვანთა	7	წელზე	მეტი
ვენახებისა	4	„	„
კურკოვანი ხილისა	5	„	„ (გარდა ატმის ნარგავებისა)
ატმისა	4	„	„
თესლოვანი ხილისა	10	„	„
დაფნისა	4	„	„
ჩაის პლანტაციების	5	„	„

6. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნება დართოს, რათა 1941 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებულ იქნას ზემო-სვანეთის რაიონში, აგრეთვე დუშეთის რაიონის არხოტის, ბარისახოს, ბაცალიგოს და შატილის სასოფლო საბჭოებში, ყაზბეგის რაიონის სოფელ ართხმოსა და ჯუთაში მცხოვრები მთელი მოსახლეობა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისტემატურად მოაწოდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ 22 მაისი. № 955.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1.

შემოსავლიანობის 1941 წლის ნორმები საქართველოს სსრ რაიონებისათვის.

ფასანები	სათოვლი	შეაბრუ-ნებლობა	მეფუტკრეობა: ჩარჩ. სკები	მეფუტკრეობა: როფის სკები	ძროხა	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი, აქლემი და ჯორი	ხარი, ბუ-ლა და კა-მეჩი
9	10	11	12	13	14	15	16	17	18
6750	420		30	15	660	42		600	345
5250	420		30	15	570	42		600	345
6750	420		30	15	660	42		600	345
5250	420		30	15	570	42		600	345
6750	420		30	15	660	42		600	345
5250	280		30	15	570	42		420	210
6750	420		30	15	660	42		600	345
5250	280		20	10	425	42		420	210
5250	280		20	10	425	42		420	210
6750	420		30	15	660	72		600	345
6750	420		30	15	660	72		600	345
5250	420		30	15	660	72		600	345
5250	420		30	15	660	72		600	345
5250	420								
8320	420		30	15	570	42		625	300
5250	280		30	15	780	72		625	345
6750	420		20	10	425	42		420	210
5250	280		30	15	570	42		600	300
5250	280		20	10	425	42		420	210
5250	280		20	10	425	42		420	210
5250			20	10	425	42		420	210
5250					780	72		625	345
5250					780	72		625	300
8320					780	72		625	345
8320					780	72		625	345
6750					570	42		625	345
6750					570	42		625	345
8320					660	55		625	345
5250					660	72		625	345
8320					660	72		600	300
6750					570	42		625	300
5250					570	42		625	345
8320					570	72		600	300
					780	72		625	300

რაიონები	მარცვლეული ბოსტნეული	კარტოფილი	თამბაქო	ჩაი	ლიმონი	ბოსტნეული და ბოლოსტენი	ბალები და სასეხლეები
1	2	3	4	5	6	7	8
21. ქარელის	650	2200	1750			4750	6500
22. კასპის	600	2200	1750			4750	6500
23. ფავლის	650	2200	2650			5200	6000
24. ქვემო სვანეთის	460	1580	1750			3150	4200
25. ბუთაისის	650	1800	1750			5200	6500
26. ლაგოდეხის	770	2200	2650			4750	6000
27. ლანჩხუთის	770	1800	2000			36'0	650.0
28. ლუკსემბურგის	770	2500	2650			5200	6500
29. მახარაძის	770	1800	1750			4750	6500
30. მაიაკოვსკის	650	1800	1750			3600	5300
31. მცხეთის	650	1800	1750			5200	6500
32. ონის	600	2200	1750			3600	5300
33. ორჯონიკიძის	600	2200	1750			3600	5300
34. ფოთის	770	1580	1750			4750	6500
35. საგარეჯოს	650	2200	1750			4750	6000
36. სამტრედიის	770	1800	1750			5200	6500
37. საჩხერის	650	1800	1750			3600	5300
38. სოღნაღის	770	1800	1750			5200	6000
39. თბილისის	650	1800	1750			5200	6500
40. თელავის	770	2200	1750			5200	6000
41. თიანეთის	460	2200	1750			3150	4200
42. ტყიბულის	650	18.0	1750			3600	6500
43. ხაშურის	650	2200	1750			5200	6000
44. ზუბის	770	1580	1750			3600	6000
45. ცაგერის	650	1800	1750			3600	5300
46. წალენჯიხის	600	1580	1750			3600	5300
47. წალკის	460	2500	2000			3600	4200
48. წითელწყაროს	770	2200	1750			4750	5600
49. წყალტუბოს	650	1800	1750			5200	6500
50. ცხაკაიას	650	1580	2000			3600	6000
51. წულუკიძის	770	1800	2000			4750	6000
52. ჭიათურის	600	1800	1750			3600	5300
53. ჩოხატაურის	650	1800	2000			3150	6000
54. ჩხარის	650	1580	2000			3600	5300
55. ჩხოროწყუს	600	1580	2000			3600	5300

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1-ის გაგრძელება.

ვენახები	სათიბი	მებაღრუ-ფუნეობა	მეფუტკრეობა		ძროხა	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი, აქ-ლემი და ჯორი	ხარი, ბუ-ლა და კა-მეჩი
			ჩარჩ. სკები	როფის სკები					
9	10	11	12	13	14	15	16	17	18
6750					660	55		625	300
6750					660	55		625	300
8320					660	72		625	300
5250					570	42		600	300
8320					670	42		625	300
6750					660	72		625	300
5250					570	42		625	345
8320					750	72		625	300
5250					570	42		625	345
8320					570	42		525	300
6750					660	72		625	300
6750					660	42		925	300
8320					570	42		600	300
5250					660	42		625	345
8320					660	72		625	300
6750					570	42		625	345
8320					570	72		625	300
8320					660	72		625	345
6750					780	72		625	345
8320					660	72		625	300
5250					660	42		600	300
6750					570	55		625	345
6750					660	42		625	300
5250					570	42		625	300
6750					570	42		600	300
5250					570	42		600	345
5250					660	72		625	300
8320					660	72		625	300
6750					570	42		625	300
6750					570	42		625	300
6750					570	42		625	300
6750					570	42		625	345
6750					570	42		600	300
8320					570	42		625	345
6750					570	42		625	300

ულანარჩენი ნაკვეთი 420 მანეთის თვისებისა 140 მანეთის თვისებისა 30 მანეთის თვისებისა 15 მანეთის თვისებისა 200 მანეთის თვისებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

119. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მთავარ ინჟინრად ამხ. ა. ა. გაბუნიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ა. ა. გაბუნია საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მთავარ ინჟინრად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 27 მაისი № 980.
თბილისი.

---

120. საქართველოს სსრ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და რაიონულ ცენტრებში საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის წყალსადენებით, კანალიზაციითა და აბანოებით სარგებლობისათვის ახალი ტარიფების შემოღების შესახებ.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ქალაქებში წყალსადენებითა და კანალიზაციით სარგებლობის ტარიფები სხვადასხვანაირია (მოსახლეობისათვის, საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის, სამეურნეო ორგანიზაციებისათვის, კომუნალური საწარმოებისათვის, და სხვ.), ამასთან ქალაქების უმრავლესობაში მოსახლეობას წყლის, კანალიზაციის საფასურს, აგრეთვე აბანოებით სარგებლობის საფასურს თვითღირებულებაზე ნაკლები რაოდენობით ახდევინებენ.

იმ მიზნით, რომ ლიკვიდირებულ იქნას ტარიფების მრავალფეროვანება და მოსახლეობის მიერ წყალსადენებით, კანალიზაციითა და აბანოებით სარგებლობის საფასური დაწესდეს არა ნაკლებ თვითღირებულებისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1941 წლის 1 ივლისიდან დააწესონ მომხმარებელთა ყველა კატეგორიისათვის წყალსადენებითა და კანალიზაციით სარგებლობის ორი ტარიფი:

ა) მოსახლეობისათვის,

ბ) საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დააწესონ მოსახლეობისათვის წყალსადენებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კანალიზაციით სარგებლობის საფასური თვითღირებულების რაოდენობით დაგროვების 10% დამატებით, ხოლო ქ. თბილისში მოსახლეობისათვის წყლით სარგებლობის ტარიფი დაწესდეს ერთ კუბ. მეტრ წყალში 25 კაპ. რაოდენობით, კანალიზაციით სარგებლობის მომქმედი ტარიფის უცვლელად დატოვებით.

3. ქ. თბილისისა და საქართველოს სსრ სხვა ქალაქებში მდებარე სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის დაწესდეს წყლითა და კანალიზაციით სარგებლობის ტარიფი იმ რაოდენობით, რომელიც ამჟამად იმავე ქალაქებში მოქმედებს სახელმწიფო საწარმოებისათვის.

4. დაწესდეს თბილისის, ბათუმისა და სოხუმის კომუნალური აბანოების საერთო განყოფილებებით სარგებლობის ფასი — 1 მანეთი თითოეული კაცის დაბანვა, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და რაიონულ ცენტრებში — 1 მან. და 50 კაპ.

ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და რაიონულ ცენტრებში კომუნალური აბანოების ნომრებით სარგებლობის ფასი დაწესდეს საშუალოდ 5 მან. საათში.

შენიშვნა. აბანოებით სარგებლობის შეღავათიანი ტარიფები, რაც ცალკეული მოსარგებლეთათვის დაწესებულია სპეციალური დადგენილებით, ძალაში დარჩეს.

5. წყალსადენების, კანალიზაციისა და აბანოების ტარიფების გადიდების შედეგად შემოსული მთელი სახსრები მოხმარდეს ლიმიტგარეშე დანახარჯების წესით ამავე მეურნეობათა გაფართოების გამართვისა და კეთილმოწყობის საქმეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 30 მაისი № 1019.

თბილისი.

1941-345

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

საჯარო
ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 1217. ტირაჟი 1.600.